ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას

# უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
10 /01/2020

დასკვნის წარდგენის თარიღი

24/02/2020

თბილისი 2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 245428158 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | განათლების ადმინისტრირება |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | განათლების ადმინისტრირების მაგისტრი 0413 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გოდერძი ბუჩაშვილი<br>შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ეკა გეგეშიძე<br>საქართველოს უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ეკა ავსაჯანიშვილი<br>ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების ადმინისტრირების პროგრამა 2011 წლიდან ხორციელდება. თავდაპირველად პროგრამა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) განათლების მართვის პროექტის ფარგლებში შემუშავდა, სადაც მისი საერთაშორისო პარტნიორი იყო კალიფორნიის უნივერსიტეტი – ლოს ანჯელესი (UCLA). პროგრამის ამოქმედებას საფუძვლად დაედო USAID-ს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შორის 2011 წლის აგვისტოში გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს:

ა) თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ლიბერალური ღირებულებების მატარებელი პიროვნება;

ბ) ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადაპტირებადი სპეციალისტი/ხელმძღვანელი ყველა დონის განათლების საფეხურისთვის;

გ) პროფესიონალი ლიდერი, რომელიც შემლებს განათლების სისტემის მართვასთან, მისი გარდაქმნის გაუმჯობესებასთან, საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვასა და დაფინანსებასთან დაკავშირებით განათლების პოლიტიკის ეფექტიანობის უზრუნველყოფას.

პროგრამაზე ამჟამად 12 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი ირიცხება. პროგრამის კურსდამთავრებულთა მაჩვენებელია 2016-19 წწ. 58. პროგრამის საფეხურის ხანგრძლივობით გათვალისწინებულ ვადაში ჩარიცხული სტუდენტებიდან საშუალოდ 96.25%-მა დაასრულა პროგრამა. დასაქმების მაჩვენებელი 89.1% კვალიფიკაციის მიხედვით - 50%.

## აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების ადმინისტრირების 120 კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 10 იანვარს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში, განხორციელდა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, (რექტორი, კანცლერი, დეკანი, ხარისხის სამსახურის უფროსი), ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ- ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც ადექვატურად იქნა აღქმული უნივერსიტეტისა და უშუალოდ პროგრამის ადმინისტრაციის მიერ. დაწესებულების მხრიდან, გამოიხატა მზაობა არსებული მოსაზრებების გათვალისწინებისა.

## საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით და არსებულის წესის გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას კრიტიკული შეუსაბამობა პროგრამასა და აკრედიტაციის სტანდარტებს შორის არ ფიქსირდება.

### რეკომენდაციები

1. პროგრამაში არსებული სავალდებულო სასწავლო კომპონენტში რეკომენდებულია უფრო მეტად იყოს ყურადღება გამახვილებული ისეთი სასწავლო კურსებზე რომლებიც სტუდენტებს მისცემს სიღმისეულ ცოდნას ადამიანური რესურსების მართვასა და განათლებაში ხარისხის მართვაზე. ეს ყოველივე შესაძლებელია მოხდეს კურსების ოპტიმიზაციის ხარჯზე, მაგალითად კვლევის საგნებში ინტეგრირდეს პრაქტიკის კომპონენტის ნაწილი, ასევე ინგლისურ ენას შესაძლებელია მიენიჭოს არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსი.
2. პროგრამაში ეკონომიკური/ფინანსების ბლოკის საგნების გაძლიერება ძირითად საგნებში მენეჯერული აღრიცხვა/ფინანსები ან არსებული ფინანსების საგანი მოდიფიცირდეს ადმინისტრაციული/მენეჯერული ფინანსების მიმართულებით, კარგი იქნება არჩევით საგანთა ბლოკში „მენეჯერული ეკონომიკის" შეთავაზება;
3. სამართლის მიმართულებით მოხდეს საგნის დამატება ანდა არსებული სილაბუსი გამდიდრდეს ისეთი საკითხებით, როგორიცაა: საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზების ფორმები (საჯარო სამართლის იურიდიული პირი, არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი და სხვ.), სახაზინო ფინანსური ურთიერთობები და გადასახადები;

4. პროგრამის მიზნები რეკომენდებულია უფრო კონკრეტული ფორმულირებით იყოს წამოდგენილი;
5. მეტი გამჭვირვალობისთვის რეკომენდებულია პრაქტიკის სილაბუსი მოიცავდეს სტუდენტების გადანაწილების მექანიზმებთან ერთად, პრაქტიკის მონიტორინგს, მენტორის საკონტაქტო საათებისა და შეფასების მექანიზმებსაც;

6. პროგრამის ცალკეულ სავალდებულო სასწავლო კურსებში (ფინანსები განათლებაში, ადმინისტრაციული ეთიკა და ორგანიზაციული ლიდერობა, განათლების სფეროში საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები და ა.შ.) საკმაოდ მრავლადაა წამოდგენილი სასწავლო თემატიკა, რომლის შესწავლისთვისაც უფრო მეტი დრო უნდა იყოს გამოყოფილი ECTS კრედიტებისა და საკონტაქტო საათების სახით.

7. დაზუსტდეს პროგრამის შედეგები, შეფასებით იკვეთება, რომ საგანმაანთლებლო პროგრამაში განსაზღვრული „ავტონომირუობა და პასუსიხმგებლობა"-ის ზოგიერთი შედეგი სასწავლო კურსებითა და შეფასების მეთოდებით ვერ მიიღწევა და იგი რჩება უნარების კონტექსტში, აქედან გამომდინარე, საკითხი პროგრამის სწავლის შედეგების ცოდნისა და უნარის დონეზე გაწერის. ასევე უნდა მოხდეს 2.4. და 2.8. შედეგის დაზუსტება წარმოდგენილი ანალიზის შესაბამისად.

## რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამა ქართულენოვანია და ითვალისწინებს უცხო ქვეყნის მოქალაქეების დაშვებას, ამასთან ერთად ინტერვიუდან დადასტურდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის შემდგომ უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, აქედან გამონდინარე, კარგი იქნება თუ უნივერსიტეტი დაშვების წინაპირობებში ენის დონეს გაზრდის B1 დან B2 მდე, რადგან უცხო ენის ცოდნა B2 დონეზე ხელს შეუწყობს სტუდენტებს პროგრამის უკეთ დაძლევასა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობაში.
- ცალკეულ სასწავლო კურსის სილაბუსებში სასურველია გადაიხედოს ავტონომიურობა და პასუხისმგებლობის სწავლის შედეგი, რადგან ისინი უფრო მეტად აღწერენ სტუდენტის უნარს რომელიც გამოუმუშავდება კონკრეტული სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ.

## საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

უნივერსიტეტს აქვს მოქნილი ელექტრონული პლატფორმა რომელიც აქტიურად ეხმარება უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესების სწრაფად და ადექვატურად წარმათვაში.

### განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2012 წლიდან პროგრამაზე განხორციელდა როგორც სტრუქტურული ასევე შინაარსობრივი ცვლილებები. კერძოდ გაიყო სასწავლო კურსები, შეიცვალა სტუდენტთა შეფასება, დაზუსტდა სასწავლო კურსების დასახელებები, შინაარსი, ლიტერატურა, ასევე გაიზარდა სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,განათლების ადმინისტრირება“, რომელიც იყო აკრედიტირებული ავტორიზებული 2012 წლის 12 მარტის #46 გადაწყვეტილებით, წარმოდგენილია ხელახალი აკრედიტაციისთვის მას აქვს სამი ძირითადი მიზანი რომლებიცაა: |

ა) თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ლიბერალური ღირებულებების მატარებელი პიროვნება;

ბ) ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადაპტირებადი სპეციალისტი/ხელმძღვანელი ყველა დონის განათლების საფეხურისთვის;

გ) პროფესიონალი ლიდერი, რომელიც შეძლებს განათლების სისტემის მართვასთან, მისი გარდაქმნის გაუმჯობესებასთან, საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვასა და დაფინანსებასთან დაკავშირებით განათლების პოლიტიკის ეფექტიანობის უზრუნველყოფას.

პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: „მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, ჩამოყალიბდეს ძლიერ საგანმანათლებლო-კვლევით ცენტრად და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში“.

წარმოდგენილი პროგრამა აკრედიტაციას გადის საქართველოს საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-7 საფეხურისთვის კოდით 0413, სპეციალიზაციით „განათლების ადმინისტრირება“.

მიზნები თანხვედრაშია სსჩ-ს მე-7 საფეხურთან თუმცა თუ სპეციალიზაციას გავითვალისწინებთ, როგორც „მენეჯმენტი და ადმინისტრირებას“, ხოლო ტერმინი „ადმინისტრირება“ მოიცავს, დარგში და ორგანიზაციაში, ფართო მიზნების, გეგმების და პოლიტიკის ფორმირებას, შესაბამისად ეს არის გადაწყვეტილების მიმღების ფუნქციის მქონე, ხოლო მენეჯერი არის აღმასრულებელი ფუნქციის მქონე, რომელიც არის სხვების გამღოლით წინასწარგანსაზღვრული მიზნების მიღწევა. შესაბამისად შესაძლებელია ვიმსჯელოთ, რომ მესამე მიზანის ფორმულარიდან პროგრამა ამზადებს მენეჯერსაც და ადმინისტრატორსაც. თუმცა ეფექტიანი პოლიტიკის უზრუნველყოფა არის ხელთ არსებული რესურსებით მაქსიმალური შედეგის/გამოსავლიანობის მიღება, ხოლო განათლების პოლიტიკა უმჯობესია იყოს ეფექტური - ანუ გავლენა ქონდეს ბენეფიციარზე. ანუ მენეჯერი ეფექტიანი, ხოლო პოლიტიკა ეფექტური.

განთლების ინდუსტრიაში, კვალიფიციურ ადმინისტრატორ-მენეჯერ სპეციალისტის პრობლემა ერთ-ერთი ცენტრალურია საქართველოში. თუ გავითვალისწინებით იმ გარემოებას, რომ 19 საჯარო და 44 კერძო უსდ, 85 კოლეჯი (პროფესიული და საზოგადოებრივი) 2084 საჯარო და 244 კერძო სკოლაა, 1621 საჯარო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაა, მათ მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებული პირი უმეტესად არა მენეჯერული/ადმინისტრაციული მიმართულებითაა. ამასთანავე

საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულების ნახევარზე მეტი მცირე კონტიგენტიანია და მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებულ პირებს უწევთ ფაქტიურად ადმინისტრაციული და მენეჯერული ფუნქციების შესრულება. თავად სამაგისტრო პროგრამას მის ხელმძღვანელობას და უნივერისტეტის ადმინისტრაციასაც გამოწვევის წინაშე აყენებს.

თუ დასაქმების სფერო საჯარო სკოლის დირექტორია და ვიხელმძღვანელებთ საქართველოში მოქმედი საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტით (http://moecs.ge/contentimage/kanonebi/aktebi/direqtoris_standarti.pdf) მას, როგორც მენეჯერის ასევე ადმინისტრატორის ფუნქციებიც აქვს, ერთის მხრივ მართავს საგანმანათლებლო პროცესს, პასუხისმგებელია თანამშრომელთა და პედაგოგთა საქმიანობაზე, მეორეს მხრივ მონაწილეობს სკოლის მისიისა და ხედვის ფორმირებაზე.

პროგრამაში დეკლარირებულის, რომ მის „ფარგლებში გამომუშავებული კომპეტენციებით კურსდამთავრებული შეძლებს სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტიანად მართვა-ხელმძღვანელობას, განათლების სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას“. ასევე გამოყოფილია შემდეგი დასაქმების სფეროები „პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმებასა და კარიე-რულ წინსვლას საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერის პოზიციაზე სხვადასხვა საფე-ხურის სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მასზე დაქვემდებარებულ სააგენტოებში“. ასევე, კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურაში).

პროგრამა ბაზარზე მოთხოვნადია, მნიშვნელოვანია აჭარის რეგიონის განვითარებისათვის.

აღნიშნულიდან და საქართველოს რეალობიდან გამოდინარე მიზანი აკმაყოფილებს სტანდარტს. თუმცა, შესაძლებელია მისი გაუმჯობესება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, განათლების ადმინისტრირება“;
2. განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი;
3. ბსუ-ს მისია https://www.bsu.edu.ge/main/page/2-416/index.html;
4. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დებულება;
5. ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და უნივერისტეტის ადმინისტრაციასთან;
6. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

**რეკომენდაციები:**

- პროგრამის მიზნები რეკომენდებულია უფრო კონკრეტული ფორმულირებით იყოს წამოდგენილი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ,,განათლების ადმინისტრირება“, შედეგები წარმოდგენილია ახალი სტანდარტით, რომელიც

ითვალისწინებს სამ დონიან შედეგებს ცოდნა და გაცნობიერება, უნარი და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

სწავლების შედეგები შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

ცოდნა და გაცნობიერება,

1.1. აქვს განათლების სფეროს მართვის თეორიებისა და კონცეფციების ღრმა და სისტემური ცოდნა;

1.2. იცნობს განათლების სისტემის სტრუქტურას, მიზნებს და მარეგულირებელ დოკუმენტებს, განათლების სფეროს განვითარების თანამედროვე ტენდენციებსა და კვლევებს, განათლების პოლიტიკის, ფინანსებისა და სამართლის მთავარ ასპექტებს;

1.3. ფლობს კვლევის მეთოდებს და აცნობიერებს მათი გამოყენების აუცილებლობას ინოვაციებისა და ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისთვის;

იცის კურიკულუმის შედგენისა და მართვის პრინციპები.

უნარი

2.1. აქვს საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის, გუნდური მუშაობის, ლიდერობის, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვის უნარი;

2.2. აქვს მრავალფეროვან კონტექსტში საგანმანათლებლო პრობლემების დანახვის, ანალიზის, შეფასების და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების/ინიცირების უნარი;

2.3. შეუძლია სპეციალური საგანმანათლებლო კონტექსტისთვის კურიკულუმის დაგეგმვა და ადაპტირება;

2.4. შეუძლია რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზი, ინოვაციური სინთეზი, შეფასება და დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები;

2.5. შეუძლია უცნობი ან მულტიდისციპლინური გარემოს სპეციფიკის გათვალისწინებით პრობლემის მოგვარების ორიგინალური გზების დასახვა და პრობლემის გადაჭრა;

2.6. შეუძლია უახლესი მიდგომების გამოყენებითა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ნაშრომში ასახვა;

2.7. შეუძლია საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით;

2.8. შეუძლია განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროექტების შემუშავება და მართვა.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.**

3.1. ახალი სტრატეგიული მიდგომების გამოყენებით მართავს განათლების სხვადასხვა საფეხურზე კომპლექსურ, არაპროგნოზირებად ან მულტიდისციპლინურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს, ახდენს მის სრულ ადაპტირებას;

3.2. შეაქვს საკუთარი წვლილი განათლების სფეროს მართვასა და განვითარება-სრულყოფაში;

3.3. იღებს პასუხისმგებლობას დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალის საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე;

3.4. დამოუკიდებლად გეგმავს, წარმართავს, აანალიზებს და აფასებს საკუთარი პროფესიული განვითარების პროცესს.

საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები მომზადებულია საქართველოს განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 10 აპრილის #69/ნ ბრძანებით „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“, რომელიც განკუთვნილია სწავლების მე-7 დონისთვის. პროგრამაში ასევე წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუკა. უსდ-ში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ პროგრამის შედეგები შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ, დაინტერსებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებული, დამსაქმებლები და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სრული ჩართულობით. ასევე გათვალისწინებული იქნა დარგში არსებული საჭიროებები, დამსაქმებლების მოთხოვნები. შესწავლილი იქნა საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკაც.

პროგრამის შედეგების გაზომვა ხდება სწავლის შედეგებსა და სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენით. პროგრამის შედეგების დაგეგმვას, შემუშავებას ეფექტურ განხორცილებას მონიტორინგს და კოორდინირებას უწევს უნივერსტეტის და ფაკულტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. სწავლების შედეგების მიღწევის შეფასებისთვის ტექსტში გამოიყენება შემდეგი მექანიზმები:

ა) საგანმანთლებლო პროგრამაში სწავლების შედეგების რუკის მიხედვით - შეფასების სხვადასხვა მეთოდის ადეკვატურობის განსაზღვრა და რეკომენდაციების გაწევა;

ბ) ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება, რომელიც იძლევა საშუალებას განისაზღვროს შეფასების მეთოდები და მისი რელევანტურობა;

გ) გამოცდების და მიმდინარე შეფასების ანალიზი, რომელიც იძლევა წარმოდგენას სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე;

დ) სტუდენტთა გამოკითხვა;

ე) კურსდამთავრებულთა გამოკითხვა

ვ) დამსაქმებელთა გამოკითხვა

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოიყენება, სხვადასხვა მეთოდები: მათ შორისაა გამოცდა, ტესტი, ესე, თვითშეფასება და სხვ.

უნივერსიტეტში არსებობს სასწავლო პროცესის მონტორინგის და შეფასების ყველა საჭირო მექანიზმი. მათ შორის turnitin-ის ანტიპლაგიატის პროგრამა.

წარმოდგენელი პროგრამის სწავლის შედეგები შეიცავს რამდენიმე უზუსტობას, კერძოდ:

2.4. შეუძლია რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზი, ინოვაციური სინთეზი, შეფასება და დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები;

ამ შედეგში გამოყენებულია „ინოვაციური სინთეზი“, რადგან ინოვაცია ეს არის გამოგონება რომლის კომერციალიზაციაა შესაძლებელი, ხოლო კურსს არ აქვს და არც მოეთხოვებათ ასეთი სახის შედეგის მიღწევა სასურველია კონტექსტიდან უბრალოდ წაიშალოს სიტყვა „ინოვაცია“.

2.8. შეუძლია განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროექტების შემუშავება და მართვა.

მითითებულია სილაბუსებით: ზოგადი განათლების სისტემის მართვა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვა, პრაქტიკა 2 (ზოგადი პრაქტიკა).

ზოგადი განათლების სისტემის მართვის სილაბუსის შედეგში მითითებულია აღნიშნული შედეგი თუმცა პროექტის მომზადების საკითხი მასში არ არის გამოტანილი და მით უმეტეს ვერ შეფასდება მართვის საკითხი. საგანში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვაში წარმოდგენილია შეფასებაში პროექტის პრეზენტაცია თუმცა მომზადების და მართვის ელემენტებზე საკითხები მასში ნაკლებადაა გათვალისწინებული, ასევე ამ კომპონენტის გარეშე სტუდენტს შეუძლია მოაგროვოს დადებითი შეფასება. პრაქტიკა 2 -ს მსგავსი შედეგი გათვალისწინებული არ არის, ასევე პროექტების მომზადება და მართვა არ არის რეფლექსიების პრეზენტაცია. ხოლო პროექტების მართვა წარმოდგენილია პროგრამაში, როგორც არჩევითი საგანი. ასევე არ ისწავლება საგანი ხარისხის მართვა, შესაბამისად ამ შედეგის მიღწევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ვერ განხორციელდება.

| |
|---|
| **პრობლემურია ავტონომიურობის შედეგი:** ახალი სტრატეგიული მიდგომების გამოყენებით მართავს განათლების სხვადასხვა საფეხურზე კომპლექსურ, არაპროგნოზირებად ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს, ახდენს მის სრულ ადაპტირებას; აღნიშნული შედეგი მიიღწევა სასწავლო კურსებით: „ზოგადი განათლების სისტემის მართვა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვა, პრაქტიკა 2 (პრაქტიკა) ზოგადი მიხედვით წარმოდგენა ქონდეს, იცოდეს ანდა აცნობიერებდეს არსებულ სტრატეგიებს, თუმცა რამდენად ახდენს ამ სტრატეგების ინტეგრირებას სასწავლო გარემოში და მითუმეტეს როგორ ხდება მისი მართვა, გაზომვა და შეფასება კითხვის ნიშნის ქვეშაა და ამასთანავე რთული საკითხია. ასევე, აღსანიშნავია ის რომ პროგრამაში არ ისწავლება საგანი სტრატეგიული დაგეგმვა.<br>3.5. იღებს პასუხისმგებლობას დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალის საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე;<br>აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია დასაქმებული პერსონალს დაუგეგმოს პროფესიული განვითარება, თუმცა პასუხისმგებლობის აღების საკითხს უბრალოდ ვერ შევამოწმებთ, შესაბამისად თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პერსონალის კარიერული განვითარება არის „უნარი“ შესაბამისად შესაძლებელია ეს გადატანილი იქნას უნარებში პასუხიმგებლობის აღების შინაარსის გარეშე. თუმცა რადგან ადამიანური რესურსების მენეჯმენტი პროგრამაში არ ისწავლება მოცემული პროგრამის ფარგლებში ამ უნარის გამომუშავება კითხვის ნიშნის წინაშე დადგება.<br>უნდა აღნიშნოს ის, რომ ზემოთ მოცემული ზოგიერთი უზუსტობები პროგრამის შედეგებში გამოწვეული ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებით, რომელზეც მუშაობის გამოცდილება საკმაოდ მწირია. თუმცა აღნიშნული შედეგები საერთოდ, რომ არ ეწეროს პროგრამაში, თავად პროგრამა მაინც შეესაბამება სსჩ-ს მე-7 საფეხურის მოთხოვნებს და აღწევს სამაგისტრო საფეხურის კომპეტენციების გამომუშავებას კურსდამთავრებულებში.<br>პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება პროგრამის ხელმძღვანელის, განმახორციელებელი პერსონალის დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელებისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლობით და ჩართულობით. ასევე, ჩართულია ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, „განათლების ადმინისტრირება“;<br>o სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, „განათლების ადმინისტრირება“ თვითშეფასება; |

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დებულება;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები და ანალიზი;
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ, დადგენილება, #06-01/91, აგვისტო 14, 2019
- გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ დადგენილება #23, 2018 წლის 20 თებერვალი.
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

**რეკომენდაციები**

- დაზუსტდეს პროგრამის შედეგები, შეფასებით იკვეთება, რომ საგანმაანთლებლო პროგრამაში განსაზღვრული „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა"-ის ზოგიერთი შედეგი სასწავლო კურსებითა და შეფასების მეთოდებით ვერ მიიღწევა და იგი რჩება უნარების კონტექსტში, აქედან გამომდინარე, საკითხი პროგრამის სწავლის შედეგების ცოდნისა და უნარის დონეზე გაწერის. ასევე უნდა მოხდეს 2.4. და 2.8. შედეგის დაზუსტება წარმოდგენილი ანალიზის შესაბამისად.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | [redacted] | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს საერთო სამაგისტრო გამოცდა და რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში დარეგისტრირდნენ ბსუ-ში მაგისტრანტობის კანდიდატად, სრულყოფილად წარმოადგინეს ამ წესით დადგენილი დოკუმენტაცია, ჩააბარეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები უცხო ენასა და სპეციალობაში და დადგენილ ვადებში გააფორმეს ხელშეკრულება ბსუ-სთან.<br>შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა გულისხმობს ენის ფლობის (B1) დონის დასადგენ ტესტირებასა და წერით გამოცდას სპეციალობაში. გამოცდების შესახებ ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია ბსუ-ს ვებ-გვერდზე. |

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია შიდა ან/და გარე მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით ჩარიცხვა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით დასაშვებია უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე ჩარიცხვა.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა ჩართვას პროგრამაში.
პროგრამა ქართულენოვანია და ითვალისწინებს უცხო ქვეყნის მოქალაქეების დაშვებას, ამასთან ერთად ინტერვიუდან დადგინდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის შემდგომ უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, რაც ნიშნავს დადებით ტენდენციას ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის ხელშეწყობისთვის, აქედან გამომდინარე კარგი იქნება თუ უნივერსიტეტი დაშვების წინაპირობებში ენის დონეს გაზრდის B1 დან B2 მდე.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამა ქართულენოვანია და ითვალისწინებს უცხო ქვეყნის მოქალაქეების დაშვებას, ამასთან ერთად ინტერვიუდან დადგინდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის შემდგომ უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, აქედან გამომდინარე კარგი იქნება თუ უნივერსიტეტი დაშვების წინაპირობებში ენის დონეს გაზრდის B1 დან B2 მდე, რადგან უცხო ენის ცოდნა შესაბამის დონეზე ხელს შეუწყობს სტუდენტებს პროგრამის უკეთ დაძლევასა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისთვის.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა შემუშავებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესისა და პროცედურების დაცვით.

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი. მათ შორის 70 კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო კურსებს (55 კრედიტი სასწავლო კომპონენტი და 15 კრედიტი - პრაქტიკა), 20 კრედიტი - თავისუფალ კომპონენტს (10 კრედიტი - სპეციალობის არჩევითი და 10 კრედიტი - თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები) და 30 კრედიტი - სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტს (სამაგისტრო ნაშრომი).

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს ეთმობა 70 კრედიტი სადაც კვლევის სასწავლო კურსებს ეთმობა 10 კრედიტი (შესავალი განათლების კვლევაში 5 კრედიტი, კვლევის მეთოდები განათლებაში (პრაქტიკული კურსი) 5 კრედიტი), პრაქტიკას 15 კრედიტი (პრაქტიკა 1 - შესავალი პრაქტიკაში, პრაქტიკა 2 - ზოგადი პრაქტიკა, პრაქტიკა 3 - პრაქტიკა კონკრეტული ფოკუსით), ინგლისურ ენას B2/C1 5 კრედიტი ჯამში 35 კრედიტი, ჯამში სამაგისტრო ნაშრომთან ერთად კვლევაზე და პრაქტიკაზე გამოყოფილია 60 კრედიტი35 კრედიტში ისწავლება სპეციალობის დანარჩენი სავალდებულო სასწავლო კურსები.

თავისუფალი კომპონენტისთვის გათვალისწინებული 20 კრედიტიდან 10 ეთმობა სპეცი-ალობის არჩევით სასწავლო კურსებს, რომლის ფარგლებშიც პროგრამით შეთავაზებულია

სასწავლო კურსების ჩამონათვალი, ხოლო თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებისთვის გათვალისწინებული 10 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებიდან ან სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალიდან მისთვის სასურველის არჩევა. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი გულისხმობს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას, რისთვისაც მაგისტრანტს მოეთხოვება თეორიული მასალის მომზადება, პრაქტიკული კვლევის ჩატარება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა ხდება კომისიის წინაშე.

პროგრამაში არსებული სავალდებულო სასწავლო კომპონენტში სასურველია უფრო მეტად იყოს ყურადღება გამახვილებული ისეთი სასწავლო კურსებზე რომლებიც სტუდენტებს მისცემს სიღრმისეულ ცოდნას ადამიანური რესურსების მართვასა და განათლებაში ხარისხის მართვაზე. ეს ყოველივე შესაძლებელია მოხდეს კურსების ოპტიმიზაციის ხარჯზე, მაგალითად კვლევის საგანში ინტეგრირდეს პრაქტიკის კომპონენტის ნაწილი, ასევე ინგლისური ენას შესაძლებელია მიენიჭოს არჩევით სასწავლო კურსის სტატუსი.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სტუდენტები პროგრამაში აბარებენ B ტესტით და კვალიფიკაცია წარმოდგენილია, როგორც 0413. აქედან გამომდინარე პროგრამაში არსებული საგნები ვერ უზრუნველყოფენ ბიზნეს პროცესების კვალიფიკაციის შესაბამის ცოდნას სრულად. პროგრამაში წარმოდგენილია კურსი „ფინანსები განათლებაში“ სადაც განხილულია განათლების მაკროეკონომიკური საკითხები, მთლიან შიდა პროდუქტში მისი წილი და სხვა სოციალურ-მაკროეკონომიკური ასპექტები, რომელიც ფინანსების მენეჯერული პროცესების ცოდნას არ იძლევა, კარგი იქნება თუ მსგავსი საკითხების ინტეგრირება მოხდება განათლების პოლიტიკის საგანში, მით უმეტეს კურსის მიზანში დეკლარირებულია „კურსის ფარგლებში განხილული იქნება კავშირები და ურთიერთობები განათლებასა და სახელმწიფოს, განათლებასა და საზოგადოებას, განათლებასა და ეკონომიკას შორის.“ სამაგიეროდ შეთავაზებული იქნას ორგანიზაციული მართვისა და ადმინისტრირების ცოდნისა და უნარის მიმცემი სტუდენტისთვის საგნები:

კერძოდ მმართველობითი აღრიცხვა და/ან მმართველობითი ფინანსები ძირითად საგნებში, ხოლო მენეჯერული ეკონომიკა სავალდებულო არჩევით საგნებში მათთვის ვისაც არ აქვს ბიზნესის ან ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი;

პროგრამაში წარმოდგენილია საგანი „განათლების სფეროში საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები“, სილაბუსში განათლების მეცნიერებისთვის დამახასიათებული საკითხებია წარმოდგენილია, თუმცა არ არის საგანი რომელიც მოახდენს ადმინისტრაციული ცოდნის შეძენას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა როგორი სამართლებრივი ფორმებით შესაძლებელია

| |
|---|
| არსებობდეს საგანმანათლებლო ორგანიზაციები და რა მსგავსებაა და განსხვავებაა მათ შორის (არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი, - საჯარო სამართლის იურიდიული პირი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სოლიდარული პასუხიმგებლობის საზოგადოება და სხვ) ასევე რა სახის გადასახადების გადახდის ვალდებულება აქვთ მათ. აღნიშნული საკითხები მნიშვნელოვანია განათლების ადმინისტრირების სპეციალობისათვის ეფექტური და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში;<br>რადგან ხარისიხის მართვა განათლებაში ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს კარგი იქნება თუ პროგრამაში დაემატება ხარისხის მართვის კურსი;<br>განათლებაში ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვა, აღნიშნული საგანი ასევე მნიშვნელოვნად გაამჯობესებდა პროგრამის შედეგებს.<br>პროგრამის თითოეული კომპონენტი ისეა აგებული, რომ მათი მოცულობა, სწავლების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრავს სასწავლო კურსის მიზნებისა და შედეგების მიღწევას. თუმცა, ცალკეულ სასწავლო კურსის სილაბუსებში სასურველია გადაიხედოს ავტონომიურობა და პასუხისმგებლობის სწავლის შედეგი, რადგან ისინი უფრო მეტად აღწერენ სტუდენტის უნარს რომელიც გამოუმუშავდება კონკრეტული სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ. პროგრამის თითოეული კურსის მიზანი, კრედიტების რაოდენობა, დაშვების წინაპირობა, საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, სწავლების მეთოდები და ფორმატი (ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, პედაგოგიური სიტუაციის ანალიზი და ა.შ.), შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა უზრუნველყოფს კურსით გათვალისწინებული მიზნების და დარგობრივი კომპეტენციების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსი სრულდება გამოცდით. ყოველ გამოცდაზე დაშვებას აქვს წინაპირობა, რომელიც უზრუნველყოფს კურსის სწავლების პროცესში აუცილებელი აქტივობების განხორციელებას. სილაბუსებში განსაზღვრულია გამოცდისთვის მოსამზადებელი დროის სავარაუდო ხანგრძლივობაც. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o პროგრამა;<br>o პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;<br>o პროგრამის სემესტრული გეგმა;<br>o პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;<br>o ბსუ-ს 2017 წლის 15 ივნისის #37 დადგენილება აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი. |

| |
|---|
| რეკომენდაციები:<br><br>o პროგრამაში გაძლიერდეს ეკონომიკური/ფინანსებს ბლოკის საგნები ძირითად საგნებში დაემატოს მენეჯერული აღრიცხვა ან/და ფინანსები, ან არსებული ფინანსების საგანი მოდიფიცირდეს ადმინისტრაციული ფინანსების მიმართულებით. კარგი იქნება არჩევით საგანთა ბლოკში „მენეჯერული ეკონომიკის" შეთავაზება სავალდებულო არჩევითად იმ სტუდენტებისთვის, რომელსაც არ აქვთ ბიზნესის ან ეკონომიკის მიმართულებით ბაკალავრის ხარისხი;<br>o სამართლის მიმართულებით მოხდეს საგნის დამატება ანდა არსებული სილაბუსი გამდიდრდეს ისეთი საკითხებით, როგორიცაა: საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზების ფორმები (საჯარო სამართლის იურიდიული პირი, არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი და სხვ.) სახაზინო ფინანსური ურთიერთობები და გადასახადები;<br>o პროგრამაში არსებული სავალდებულო სასწავლო კომპონენტში რეკომენდებულია უფრო მეტად იყოს ყურადღება გამახვილებული ისეთი სასწავლო კურსებზე რომლებიც სტუდენტებს მისცემს სიღრმისეულ ცოდნას ადამიანური რესურსების მართვასა და განათლებაში ხარისხის მართვაზე. ეს ყოველივე შესაძლებელია მოხდეს კურსების ოპტიმიზაციის ხარჯზე, მაგალითად კვლევის საგანში ინტეგრირდეს პრაქტიკის კომპონენტის ნაწილი, ასევე ინგლისური ენას შესაძლებელია მიენიჭოს არჩევით სასწავლო კურსის სტატუსი. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>o ცალკეულ სასწავლო კურსის სილაბუსებში სასურველია გადაიხედოს ავტონომიურობა და პასუხისმგებლობის სწავლის შედეგი, რადგან ისინი უფრო მეტად აღწერენ სტუდენტის უნარს რომელიც გამოუმუშავდება კონკრეტული სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

■ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამაში წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუკა, სადაც აღწერილია პროგრამის რომელ სწავლის შედეგზე / შედეგებზე გადის ცალკეული კურსი.

პროგრამა მოიცავს 5 კრედიტიან კურსებს. კურსების შინაარსიდან გამომდინარე სილაბუსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათებთან ერთად განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება,ელექტრონული სწავლება და ა.შ.

თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს.

კურსის სილაბუსებში მითითებულია საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები, მათ შორის, ლიტერატურა. ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში გამოიყენება ე.წ. რიდერები, რომელიც ეფუძნება განათლების სფეროში არსებულ უახლეს მიღწევებსა და კვლევებს. მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია სტუდენტურ პორტალზე. პორტალის მეშვეობით ხდება სტუდენტებიდან უკუკავშირის მიღება, დავალებების მიწერა, ინსტრუქციის მიცემა, კონსულტირება და ა.შ.

პროგრამის ცალკეულ სავალდებულო სასწავლო კურსებში (ფინანსები განათლებაში,ადმინისტრაციული ეთიკა და ორგანიზაციული ლიდერობა,განათლების სფეროში საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები და ა.შ.) საკმაოდ მრავლადაა წამოდგენილი სასწავლო თემატიკა, რომლის შესწავლისთვისაც უფრო მეტი დრო უნდა იყოს გამოყოფილი ECTS კრედიტებისა და საკონტაქტო საათების სახით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა;
- სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა
- რიდერები

**რეკომენდაციები:**

პროგრამის ცალკეულ სავალდებულო სასწავლო კურსებში (ფინანსები განათლებაში,ადმინისტრაციული ეთიკა და ორგანიზაციული ლიდერობა,განათლების სფეროში საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები და ა.შ.) საკმაოდ მრავლადაა წამოდგენილი სასწავლო თემატიკა, რომლის შესწავლისთვისაც უფრო მეტი დრო უნდა იყოს გამოყოფილი ECTS კრედიტებისა და საკონტაქტო საათების სახით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
| --- |
| განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი უნარების განვითარებას. პრაქტიკას, როგორც ზოგადი, ასევე უმაღლესი განათლების მიმართულების სტუდენტები გადიან სწავლების პირველ, მეორე და მესამე სემესტრებში - სკოლა ან უმაღლესი (მიმართულების შესაბამისად). პროგრამის ფარგლებში ამ კომპონენტს მინიჭებული აქვს 15 კრედიტი და მისი გავლა სავალდებულოა,<br>უსდ-ს განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის პროცესი შემდეგნაირად ხორციელდება: უნივერსიტეტს, თანამშრომლობით დაინტერესებულ სკოლებთან გაფორმებული აქვს მემორანდუმები, შესაბამისად, ზოგადი განათლების მიმართულების სტუდენტები პრაქტიკას სწორედ ამ სკოლებში გადიან, ხოლო უმაღლესი განათლების მიმართულების სტუდენტებისთვის პრაქტიკის ადგილად გამოყენებულია ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სხვადასხვა სამსახური.<br>მეტი გამჭვირვალობისთვის სასურველია პრაქტიკის სილაბუსი მოიცავდეს სტუდენტების გადანაწილების მექანიზმებთან ერთად, პრაქტიკის მონიტორინგს, მენტორის საკონტაქტო საათებისა და შეფასების მექანიზმებსაც;<br>სამაგისტრო პროგრამა ასევე, უზრუნველყოფს სტუდენტთა კვლევითი უნარების განვითარებასაც. კვლევითი კომპონენტი მოიცავს სავალდებულო სასწავლო კურსებს ორივე მიმართულებისთვის, რომლის ფარგლებშიც ხდება სტუდენტების საკვლევი სფეროს განსაზღვრა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე. წარმოდგენილი პროგრამა ასევე ითვალისწინებს სასემინარო, კვლევით სამუშაოებს და კვლევით პროექტებში ჩართვას, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას. |
